

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი № 3

21.05.2020 წ.

2020 წლის 21 მაისს შედგა სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომას 215 წევრიდან დაესწრო 145 წევრი

(დასწრების სია თან ერთვის ოქმს)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. აკრედიტაციაზე წარსადგენი სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების - სილაბუსების (ბაკალავრიტის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის) განხილვა-დამტკიცების შესახებ. მომხსენებელი - ხარისხის სამსახურის უფროსი, პროფესორი მარინა ჯავახიშვილი;
2. ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტების შესახებ ინფორმაცია. მომხსენებელი - ფაკულტეტის მენეჯერი, პროფესორი გინა გურეშიძე;
3. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: პროფესორ მარინა ჯავახიშვილის ინფორმაცია აკრედიტაციაზე წარსადგენი სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსების (ბაკალავრიტის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის) განხილვა-დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქეეს: პროფესორებმა: ზურაბ გვიშიანმა, არჩლ ჩიქოვანმა, ტარიელ კვიციანმა, ალექსანდრე დავითაშვილ-ბაგრატიონმა.

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი პროფესორ მარინა ჯავახიშვილის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას.

დაადგინეს: პროფესორ მარინა ჯავახიშვილის მიერ წარმოდგენილი აკრედიტაციაზე წარსადგენი სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამები-სილაბუსები (ბაკალავრიტის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის) დამტკიცებულ იქნას საბჭოს მიერ.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

2. მოისმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის ინფორმაცია ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტების შესახებ. მომხსენებელმა

აღნიშნა, რომ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამო ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტებს გადახის ვადა გაუგრძელდეთ ფინანსურ გამოცდებამდე.

3.მიმდინარე საკითხებში მოისმინეს: ფაკულტეტის თანამშრომლის ბატოლ ლევან ფიფიას ინფორმაცია III-IV კურსის სტუდენტთა დასაქმების შესახებ.

აზრი გამოთქვას: პროფესორებმა: ზურაბ გვიშიანი, ზურაბ ციციშვილმა, გია ყალაბეგიშვილმა.

სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს

თავმჯდომარე, პროფესორი

/ზ.გვიშიანი/

საბჭოს მდივანი, პროფესორი

/რ.იმედაძე/